პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2025 წლის ---- მაისი

ქ. წყალტუბო

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლისათვის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭების შესახებ, თანხმობის გაცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა (2025 წლის 1 მაისის სხდომის ოქმი №3), სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლისათვის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭების შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანახმაა სსიპ წყალტუბოს მინიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლას მიენიჭოს შალვა ნიშნიანიძის სახელი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის

ხელმძღვანელი მ. ბერაძე

შეთანხმებულია

აპარატის უფროსი გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე ლ. ჩანქსელიანი

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლის

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 3

ს. მუხიანი 1.05.2025 წ.

სხდომის დაწყების დრო: 15 სთ

სხდომას ესწრებოდნენ სამეურვეო საბჭოს წევრები:

1. ნინა ფუთურიძე, თავმჯდომარე – პირველი საფეხურის მოსწავლის მშობელი;
2. ლეილა ბენდელიანი– სხდომის მდივანი – /მასწავლებელი,
3. მაკა ასათიანი–მასწავლებელი;
4. მარიკა ჯაჯანიძე–მასწავლებელი
5. მარიამ ყუბანეიშვილი–თვითმმართველობის ხელ–ლი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის საჯარო სკოლის დირექტორი ბატონი ვ. ნიქაბაძე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს.

მომხრე – 5;
მოწინააღმდეგე– 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

საკითხი: სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლისათვის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ.

მომხსენებელი: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ნინა ფუთურიძე.

მოისმინეს: სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით. მან დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ 2025 წლის 30აპრილს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში შემოვიდა სკოლის დირექციის განცხადება,რომელსაც თან ახლავს წარმატებების დამადასტურებელი დოკუმენტები აღნიშნულ პიროვნებასთან დაკავშირებით.ისინი მოგვმართავენ თხოვნით,რომ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის საჯარო სკოლას მიენიჭოს შალვა ნიშნიანიძის სახელი.

ამიტომ მიგვაჩნია,რომ სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის საჯარო სკოლას აღუდგეს მისი ყოფილი დირექტორის,ამ სკოლის სულისჩამდგმელის და გამოჩენილი პეგაგოგის, შალვა ნიშნიანიძის სახელი.

აზრი გამოთქვა სამეურვეო საბჭოს წევრმა მაკა ასათიანმა,მან აღნიშნა რომ ფილმი რომელიც გადაღებულია მუხიანის საშუალო სკოლაზე,რომელშიც ნაჩვენებია თუ რაოდენ ძლიერი და წარმატებული იყო მუხიანის საშუალო სკოლა შალვა ნიშნიანიძის ხელმძღვანელობით ნათელი დადასტურებაა ბატონი შალვას ამაგისა და ღვაწლისა .ბატონი შალვას ამაგი უნდა იყოს დაფასებული და მისი სახელი უკვდავყოფილი.ამიტომ იგი მხარს უჭერს წინადადებას მუხიანის საჯარო სკოლისათვის ბატონი შალვას სახელის მინჭების შესახებ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

მოწინააღმდეგე - 0

სამეურვეო საბჭომ დაადგინა:

მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტერის მუხიანის საჯარო სკოლისთვის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების დრო: 16 სთ

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: ნ.ფუთურიძე /ნ.ფუთურიძე/

სამეურვეო საბჭოს მდივნი: /ლ.ბენდელიანი/

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

ტერიტორიული ორგანო ქალაქ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრი

02/05/2025

MES 4 25 0000474980

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მოგახსენებთ, რომ წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში შემოვიდა სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ **მუხიანის** საჯარო სკოლის დირექციის N468668 (01.05.2025წ.) წერილი **სკოლისთვის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭების შესახებ.**

"საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N194 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის 4^1 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით, სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ ინიციატივას და საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს შესაბამის სხდომის ოქმს, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული საკითხი და გვაცნობოთ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

(იხ. მიბმული ფაილები)

პატივისცემით,

მისამართი: ქ. წყალტუბო რუსთაველის ქ. N25 ტელ: (0436) 22 24 46 ელ. ფოსტა: tskaltubo@mes.gov.ge

რესურსცენტრის უფროსი
ჩხეტიანი მამუკა



სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლის

დირექციის სხდომის ოქმი N 1

სოფ. მუხიანი 30.04.2025

სხდომის დაწყების დრო: 15 სთ

სხდომას ესწრებოდნენ დირექციის შემდეგი წევრები:

1. ვარდენ ნიქაბაძე-მუხიანის საჯარო სკოლის დირექტორი
2. მამუკა ქვაჩაკიძე-მუხიანის საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე
3. ირმა ქვაჩაკიძე- მუხიანის საჯარო სკოლის ბუღალტერი

განსახილველი საკითხი: სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანის საჯარო სკოლისათვის ღვაწლმოსილი პედაგოგისა და სკოლის ყოფილი დირექტორის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით ახალი გარემოებების აღმოჩენასთან დაკავშირებით

მომხრე -3;
მოწინააღმდეგე- 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

მომხსენებელი: სკოლის დირექტორის მოადგილე მამუკა ქვაჩაკიძე.

მოისმინეს: სკოლის დირექტორის მოადგილის -მამუკა ქვაჩაკიძის მოხსენება, დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით მან დამსწრე საზოგადოებას მოახსენა რომ შალვა ნიშნიანიძე ათეული წლის მანძილზე თავკაცობდა მუხიანის საშუალო სკოლას. უდიდესია მისი ღვაწლი და დამსახურება სკოლის განვითარების საქმეში, მან ბევრი რამ გააკეთა ამ სკოლის საქვეყნო ასპარეზზე გასვლისთვის. მის მიერ დანერგილი სიახლენი ხშირად გამხდარა საქვეყნოდ მსჯელობის საგანი. მან მთელი მისი შეგნებული ცხოვრება (27 წელი ამ სკოლის დირექტორი იყო) ახალგაზრდა თაობის აღზრდას შეალია. ამდენი ხნის შემდეგაც სოფლის მოსახლეობა უდიდესი მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით იხსენებს ბატონ შალვას და მის ღვაწლს სკოლის განვითარების საქმეში, ამიტომ სასურველი იქნება არ დავივიწყოთ მისი სახელი. ახალი გარემოებების გათვალისწინებით (სხვადასხვა სტატიები და უნიკალური ფირის აღმოჩენა) რომლითაც დასტურდება ბატონი შალვა ნიშნიანიძის ღვაწლი და დამსახურება კიდევ ერთხელ იძლევა საფუძველს განმეორებით მივმართოთ

სამეურვეო საბჭოს სკოლისათვის ბატონი შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვა სკოლის ბუღალტერმა ირმა ქვაჩაკიძემ რომელმაც აღნიშნა რომ ის იმ პერიოდის მოსწავლეა როცა შალვა ნიშნიანიძე სკოლის დირექტორი იყო. მას ძალიან კარგად ახსოვს იმ პერიოდის მუხიანის სკოლა რომელიც იდგა მოწინავე სკოლების გვერდით .ამიტომ სრულად იზიარებს და მხარს უჭერს სკოლის დირექტორის მოადგილის ინიციატივას მუხიანის საჯარო სკოლისათვის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 3

მოწინააღმდეგე - 0

სკოლის დირექციის სხდომამ დაადგინა:

- *წარედგინოს მუხიანის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, ამავე სკოლის დირექციის ინიციატივა მუხიანის საჯარო სკოლისთვის ყოფილი დირექტორისა და ღვაწლმოსილი პედაგოგის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭების თაობაზე.*
- *ეთხოვოს სკოლის სამეურვეო საბჭოს იმსჯელოს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მუხიანის საჯარო სკოლისთვის შალვა ნიშნიანიძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვასთან დაკავშირებით სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების დრო: 16 სთ **30.04.2025**

სკოლის დირექტორი : /ვარდენ ნიქაბაძე/

დირექტორის მოადგილე: /მამუკა ქვაჩაკიძე/

ბუღალტერი : /ირმა ქვაჩაკიძე/